APM TERMINALS Lifting Global Trade.

№193
05.06.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი ა/წ 25 მაისის №4765/01 წერილის თანახმად, სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგური" წარმოგიდგენთ განახლებულ განცხადებას და სკოპინგის ანგარიშს დაგეგმილი ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური, თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის შესახებ.

ახალი ნავსადგურის მშენებლობა იგეგმება არსებული ნავსადგურის ჩრდილოეთით ტერიტორიაზე, სადაც კომპანია ფლობს 100 ჰა მიწის ფართობს. აღსანიშნავია, რომ ახალი ნავსადგური იქნება ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური, თავისი ახალი ინფრასტრუქტურით. იგი არ გამოიყენებს არსებული პორტის ინფრასტრუქტურას. უბრალოდ, ორივე ნავსადგურს ეყოლება ერთი მმართველობითი გუნდი APM Terminals Poti. არსებული ნავსადგური დარჩება სრულიად დამოუკიდებელ ერთეულად. ის გააგრძელებს ოპერირებას, როგორც აქამდე ოპერირებდა. არსებულ ნავსადგურში, წარმოდგენილი პროექტით, არ იგეგმება არც ტექნოლოგიის, არც ექსპლუტაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა. არსებული პორტის ტექნოლოგია, წარმადობა და ექსპლუტაციის პირობები იგივე რჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა ,,ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური, თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია" არ წარმოადგენს სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის №24 დასკვნის, რომელიც მოიცავს ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობას და ამასთან, 2019 წელს აღნიშნულ პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-140) გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, მათ შორის, წარმადობის გაზრდას.

დაგეგმილი პროექტი საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ნუსხას მიეკუთვნება:

1. პუნქტი 14. ,,შიდასამდინარო გზის ან პორტის მშენებლობა, სადაც ხომალდის ტვირთამწეობა 1350 ტონაზე მეტია";
2. პუნქტი 15. „საზღვაო პორტის, ხმელეთთან და სხვა პორტთან დაკავშირებული სატვირთო მისადგომის (გარდა საბორნე მისადგომისა) მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელსაც შეუძლია მიიღოს 1350 ტონაზე მეტი წყალწყვის ხომალდი";

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 8363
"05" 06 2020
03

APM Terminals Poti
Poti Sea Port Corp.
38, D. Aghmashenebeli Str.
4401 Poti, Georgia
T +995-493-277777
F +995-493-220688
www.apmterminals.com

3. პუნქტი 9. „მაგისტრალური მიწისზედა ან/და მიწისქვეშა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია“.

I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას, აღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით კორექტირებულ სკოპინგის ანგარიშს.

განცხადებას თან ერთვის:

1. ქ. ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური, თანამედროვე ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში - „1“ (ერთი) წიგნი, (146 გვერდი);
2. დოკუმენტის, სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და სკოპინგის ანგარიშის პრეზენტაციის ელექტრონული ვერსია - CD დისკზე;
3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკზე.

პატივისცემით,

კელდ მოსგაარდ ქრისტენსენი
გენერალური დირექტორი